# შირაქი

დედოფლისწყარო

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20 (9.829)
2 - 9 ივნისი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


## ალოობა ახლოვდება



გვ.3



გვ.8

## მზე, ლურჯი ცა და ყვავილები = ბედნიერების ფორმულას



## დაირეკა ბოლო ზარი

გვ.3

## „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება



გვ.3

## დაუვიწყარი დღეების ქრონიკა და ისტორიული გრან პრი...



გვ.5



გვ.2

## პროტესტის შემდეგ მთავარი პროკურორი გადადგა

## ხელოვნების სკოლაში ანსამბლ „მანდილის“ 10 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა



გვ.6

## გიორგი კვირიკაშვილი - სომხეთის სტაბილურობასა და განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორც ორმხრივ, ისე რეგიონული თანამშრომლობის კუთხით

საქართველოს მთავრობა და პირადად მე მზად ვართ სომხეთთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სომხეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სომხეთის სტაბილურობასა და განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც, როგორც ორმხრივ, ისე რეგიონული თანამშრომლობის კუთხით.

პრემიერ-მინისტრმა ისტორიული მიმოხილვაც გააკეთა და აღნიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობები არსებობს, რასაც ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრის, ნიკოლ ფაშინიანის ვიზიტიც ადასტურებს.

„სომხეთის სტაბილურობა და განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის როგორც ორმხრივი, ისე რეგიონული თანამშრომლობის კუთხით. გვაქვს პატივი ვუმასპინძლოთ ახლად არჩეულ პრემიერ მინისტრს, რაც ვფიქრობ, ჩვენს შორის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობის დასტურია. საქართველოს მთავრობა და პირადად მე მზად ვართ სომხეთთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის", - აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

თბილისის საკრებულოში სომხეთის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი, სომხური დიასპორის წარმომადგენლები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრები ესწრებოდნენ.

სომხეთის პრემიერ-მინისტრი დღეს, საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად ახალქალაქში გაემგზავრება. ნიკოლ ფაშინიანის სამუშაო ვიზიტი დღეს საღამოს დასრულდება.

პრემიერ-მინისტრმა ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები უკვე გამართა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

## არჩილ თალაკვაძე - ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებები არ ეხება ემიგრაციაში მყოფ ჩვენს თანამოქალაქეებს

დღეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე წარმოვადგენ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებებს, რომელიც ეხება ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის პროცესს და იმ მოქალაქეების ინტერესების დაცვას, რომლებიც კეთილსინდისიერად სარგებლობენ უვიზო რეჟიმით და იცავენ წესებს. ასევე, როგორც მკაფიოდ განვაცხადეთ, ეს არ ეხება ემიგრაციაში მყოფ ჩვენს თანამოქალაქეებს, - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომელსაც დღეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, „სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილება შეეხება იმ ადამიანებს, ვინც ორგანიზებას უწევს ცრუ ცნობების მომზადებასა და წარდგენას და აქედან მატერიალურ სარგებელს იღებს.

„ჩვენ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება დავამუშავეთ იმგვარად, რომ ცრუ ცნობების მომზადებაში და წარდგენაში ვინც ორგანიზებას უწევს და აქედან მატერიალურ სარგებელს იღებს, იმ ადამიანებს შეეხებათ ეს ცვლილება და ჩვენს მესაზღვრე პოლიციელებს მიეცემათ იგივე უფლებები, რაც აქვთ მესაზღვრე პოლიციელებს ევროპაში - თუ ადამიანი ვერ ასაბუთებს სად მიდის, ვერ ასაბუთებს როდის ბრუნდება უკან, წესრიგში არა აქვს პასპორტი, ჩვენს პოლიციელებს შეეძლებათ, რომ ის დროებით შეაჩერონ როდესაც შენგენის ზონაში, ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მიემგზავრება", - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

## მერმა სკოლამდელი დაწესებულებები მოინახულა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ გამარჯვების, არბოშიკის, მირზაანის, ზემო მაჩხაანისა და ოზაანის საბავშვო ბაგა-ბაღებს სტუმრობდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელთან, ნოდარ ზურაშვილთან და სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის ცენტრის დირექტორის მოადგილესთან, თათია ბენაშვილთან ერთად საბავშო ბაღებში არსებულ პირობებს კიდევ ერთხელ გაეცნო.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების უმთავრეს პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და მომავალ თაობაზე ზრუნვაა. ამ კუთხით წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღები შეესაბამება დაწესებულ სტანდარტებს. ამის მიუხედავად, გარკვეული ხარვეზები მაინც არსებობს და ისინი ახლო მომავალში აღმოიფხვრება"-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

## სტუმრად ხორნაბუჯის სკოლაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერის მოადგილესთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლას ეწვია და ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო. აღინიშნა, რომ სკოლაში არსებული ენერგოსისტემა მთლიანად გამოსულია მწყობრიდან და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ელექტროგაყვანილობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შეიცვლება.

# მთავარი პროკურორი გადადგა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ბრალდებულების მიმართ ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. მოსამართლე ეკა არეშიძის გადაწყვეტილებით, გ.ბ, რომელსაც ბრალი, როგორც ლევან დადუნაშვილის ასევე დავით სარალიძის განზრახ მკვლელობაში ედებოდა, მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობის ეპიზოდში იქნა დამნაშავედ ცნობილი. რაც შეეხება დავით სარალიძის მკვლელობის ეპიზოდს, სასამართლომ გ.ბ. ამ ნაწილში სრულად გაამართლა. რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, რომელსაც პროკურატურა დავით სარალიძის განზრახ მკვლელობას ედავებოდა, სასამართლომ გ.ჯ.-ს ბრალი გადაუკვალიფიცირა და სარალიძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ეკა არეშიძემ 10 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა არასრულწლოვანი ლევან დადუნაშვილის განზრახ, წინასწარი შეცნობით მკვლელობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს გ.ბ-ს. მოსამართლის გადაწყვეტილებითვე, 9 წლით და 6 თვით პატიმრობა შეეფარდა არასრულწლოვანი დავით სარალიძის დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს გ.ჯ-ს. თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი 31 მაისს გამოიტანა, სასჯელი კი 1 ივნისს გამოაცხადა.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ აღშფოთებულმა სარალიძის მამამ აქცია დააანონსა. მის მხარდასაჭერად უამრავი ადამიანი გამოვიდა გარეთ. მათ მოითხოვეს ი სამართლიანობის აღდგენა და მთავარი პროკურორის გადადგომა. ირაკლი შოთაძემ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც დგას მოქალაქეებთან ერთად, - ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ ირაკლი შოთაძის გადადგომის შესახებ განაცხადა. მისი თქმით, შოთაძის გადადგომა იყო სათქმელი, რომ არასოდეს არ იდგება ხელისუფლება მოქალაქეების საპირისპირო მხარეს.

„მთავარი პროკურორის გადადგომა იყო ის მორალური ზღვარი, რომელიც გაავლო მთავარმა პროკურორმა თანამდებობასა და იმ არჩევანს შორის, რომლითაც ხელისუფლება არასოდეს ხალხს არ უნდა დაშორდეს. ჩვენ არა ვართ ის ხელისუფლება, რომელსაც საკუთარი ადამიანების არ ესმის. ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც დგას მოქალაქეებთან ერთად და ჩვენი მიზანია ერთად მივიდეთ საბოლოო ჭეშმარიტებამდე," — განაცხადა ბესელიამ.

მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე გადადგა. მან თანამდებობა, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ დატოვა.

ირაკლი შოთაძე მთავარი პროკურორის თანამდებობას 2015 წლიდან იკავებდა. ის 2015 წლის 27 ნოემბერს ამ თანამდებობაზე პარლამენტმა აირჩია.

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის მომხდარი მკვლელობის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შემადგენლობას პარლამენტი უახლოეს ვადებში დაამტკიცებს. ამის შესახებ პრემიერმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„დღეს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე. უმოკლეს ვადაში, რიგგარეშე სხდომაზე შეიკრიბება პარლამენტი, დაამტკიცებს კომისიის შემადგენლობას, სადაც, რამდენადაც ვიცი, შესაძლებელია და კარგიც იქნება ამ შემთხვევაში, რომ უმცირესობა იყოს წარმოდგენილი უმრავლესობის სახით. უმოკლეს პერიოდში დაიწყებს კომისია მუშაობას იმ პერიოდში, რა პერიოდშიც ტექნიკურად იქნება შესაძლებელი", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ თანამდებობის დატოვების კუთხით ღირსეული ნაბიჯი გადადგაა. „ვფიქრობ, რომ ირაკლი შოთაძემ დღეს გადადგა ღირსეული ნაბიჯი და ერთი წამით არ დააყენა ეჭვქვეშ პროკურატურის რეპუტაცია. გამომდინარე აქედან, ჩვენ უნდა დავიწყოთ ახალი მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესი. მოვუწოდებ, და დავალება უკვე მივეცი იუსტიციის მინისტრს, რომ მაქსიმალური ჩართულობით, საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენების ლეგიტიმაციით, შეირჩეს ახალი მთავარი პროკურორი. პროცესში უნდა იყოს ჩართული პარლამენტის ყველა ფრაქცია, სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, მთლიანად ჩვენი საზოგადოება, რომ არც ერთი მისხალი ეჭვი პიროვნულ რეპუტაციაზე, თუ მის პიროვნულ მახასიათებელზე ახალ მთავარ პროკურორთან მიმართებაში არ არსებობდეს", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# „ქართველებო, იყავით საქართველოს ღირსი!"

25 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში კიდევ ერთი ლამაზი და შინაარსიანი ღონისძიება ჩატარდა(ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ნინო სიფრაშვილი). ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს დამიუკიდებლობის 100 წლისთავს. დარბაზში ისმოდა პატარების გულიდან ამოხეთქილი სიტყვები. ეს ლამაზი გოგო-ბიჭები ნამდვილად დარჩებიან ნამდვილ ქართველებად, „საქართველოს ღირსად". მათ ხელშია ქვეყნის მომავალი. ისინი ააშენებენ გაბრწყინებულ საქართველოს და აუცილებლად გაამთლიანებენ. როცა ქვეყანას ასეთი მომავალი თაობა ჰყავს, რომლებიც ასეთ პატრიოტულ ლექსებზე იზრდებიან, მას გადაშენება არ უწერია. მით უმეტეს, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია!

ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი,

მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის სამსახურის წარმომადგენლები ნანული ნატროშვილი და ია ბუნტური. მუნიციპალიტეტის მერმა აღფრთოვანება ვერ დაფარა და ჩვენი ღირსეული ბავშვები მიიწვია კულტურის სახლში 26 მაისის აღსანიშნავად გამართულ გალა-კონცერტზე, სადაც ასევე წარმატებით გამოვიდნენ და საზოგადოების კიდევ ერთი მოწონება დაიმსახურეს.

თამარ ლაპიაშვილი



# დაირეკა ბოლო ზარი...

ყოველი წლის გაზაფხულზე, საქართველოს საჯარო სკოლებში ირეკება ტრადიციული ბოლო ზარი, რომელიც ახალგაზრდებს მოსწავლეობის ეტაპის დასრულების და ახალი ცხოვრების დასაწყისის შესახებ ამცნობს... თეთრი, ნახატებითა და წარწერებით აჭრელებული პერანგები ძვირფას რელიქვიად შემორჩება თითოეულ მათგანს... ახლა კი, ახლა მათ წინ დიდი ასპარეზია გადაშლილი, საინტერესო აღმოჩენებითა და ცხოვრებისეული გამოწვევებით, თუმცა მანამდე, სანამ ცხოვრების გამოცდას ჩააბარებენ, სკოლისა და ეროვნული გამოცდების ჩაბარება მოუწევთ... წარმატებებს ვუსურვებთ!

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის XI კლასელთა ,,ბოლო ზარი“ გაიმართა . სპეციალურად ამ დღისთვის მეთორმეტეკლასელებმა იუმორისტული სკეტჩები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები მოამზადეს.



მშობლიური სკოლის კურსდამთავრებულებს ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სკოლის დამთავრება მიულოცა და დასახული მიზნების წარმატებით განხორციელება უსურვა: „ყველა დამეთანხმებით, რომ ეს თაობა განსაკუთრებულად ნიჭიერი, კრეატიული და თავისუფალია. და ახლა, ამ სცენაზე სწორედ ასეთი ახალგაზრდები დგანან, რითაც ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ. შესაძლებლობების გამოვლენისათვის და ცოდნის გაღრმავებისათვის დღევანდელ საქართველოში საუკეთესო პირობებია. ამიტომაც თქვენი მომავალი თქვენსავე ხელშია. უნდა გამოიყენოთ ყველა მოცემული შესაძლებლობა, რადგან ცოდნას ფასი ყოველთვის აქვს. წინ დიდი წარმატებები და მიღწევები გელით. უფალმა სულ წინ და წინ გატაროთ“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა .



,,გილოცავთ ამ ლამაზ დღეს. როდესაც სკოლის მოსწავლე ვიყავი, მეგონა, რომ ის პერიოდი ჩემთვის ტვირთი იყო, მაგრამ დამერწმუნეთ, გაცილებით მძიმედ ვიგრძენი თავი, როდესაც სკოლა დავამთავრე და ახალი და გაცილებით დიდი პასუხისმგებლობების წინაშე აღმოვჩნდი. გისურვებთ, რომ როდესაც ასეთი დღე გაგითენდებათ, არ დაიბნეთ და სწორი გადაწყვეტილებები მიიღოთ. სავალ გზას დაგილოცავთ, უფალმა გაგახაროთ და დაგლოცოთ“- ამ სიტყვებით მიულოცა ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ .

წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლა 250 ახალგაზრდამ დაამთავრა.

# „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერის წარმომადგენელთან, მურად ელაშვილთან და არბოშიკის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელთან, არსენ ბაღაშვილთან ერთად სოფელ არბოშიკის მოსახლეობას შეხვდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი „ოფთალმიჯის“ მოძრავ საოპერაციო კლინიკასაც ეწვია და ექიმებსა და პაციენტებს გაესაუბრა.

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ მობილური ჯგუფი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამოკვლევებსა და ოპერაციებს პერმანენტულად ატარებს. სამედიცინო მომსახურება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება.

არბოშიკელებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან საუბარში აღნიშნეს, რომ ოპერაციის გასაკეთებლად თბილისში წასვლა უწევდათ, რასაც ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. მოძრავი კლინიკით სრგებლობა კი მათთვის გაცილებით მოსახერხებელია.

„მივესალმებით მოსახლეობის მაღალი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს . შესაბამისად, მადლიერებას გამოვთქვამ ,,ოფთალმიჯის“ მედპერსონალის მიმართ, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩვენს მოსახლეობას კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას უწევენ“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



# ალოობა ახლოვდება

ქერისა და ხორბლის მოსავლის აღების შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის და შესაძლო პრობლემების პრევენციისათვის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და შპს ,,მექანიზატორის“ ხელმძღვანელებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციულ ერთეულებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა და „მექანიზატორის“ მენეჯერთან, დავით გონაშვილთან და ბრიგადის მენეჯერთან, დავით ელიაურთან ერთად შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც ფერმერებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავების საშუალებას მისცემს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ წელს მუნიციპალიტეტში დამატებით 12 ერთეული კომბაინი შემოვიდა, რამაც ჯამში 40 ერთეული შეადგინა. აღნიშნული ტექნიკის განაწილება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოხდება. კერძო პირების საკუთრებაში არსებული კომბაინების სახით მუნიციპალიტეტს გააჩნია დამატებითი რესურსიც . საჭიროების შემთხვევაში დედოფლისწყაროელ ფერმერებს ჩალაუზნის ,,მექანიზატორიც“ დაეხმარება.

,,მთავარია, რომ შარშანდელთან შედარებით ჩვენი ტექნიკის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. არსებული რესურსი კი საფუძველს იძლევა, რომ მოსავლის აღების სამუშაოები შეუფერხებლად ჩავატაროთ. მეოთხე წელია, რეკორდულად კარგი მოსავალი გვაქვს. არ უნდა დავუშვათ, რომ თუნდაც 1 ჰექტრიანი მიწის მფლობელს რაიმე პრობლემა შეექმნას. როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე თითოეული ჩვენგანის სურვილია, რომ გლეხს არცერთი მარცვალი ასაღები არ დარჩეს“- აღნიშნა შეხვედრაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა.



სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდით შპს ,,მექანიზატორის მენეჯერს, დავით გონაშვილს. ტელ: 599 55 39 77 ან ბრიგადის მენეჯერს დავით ელიაურს, ტელ: 591 41 08 62

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ალოობა ივნისის შუა რიცხვებში დაიწყება.

# ბავშვთა დაცვის დღე და უფლებებს მიღმა დარჩენილები

ზაფხულის პირველ დღეს მსოფლიო ერთ-ერთ ყველაზე ძველ საერთაშორისო დღესასწაულს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს (Ინტერნატიონალ Ჩჰილდრენ'ს Dაყ). ეს დღე 1925 წელს, ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე ჟენევაში ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციაზე დაწესდა...

ისტორია არაფერს ამბობს იმაზე, რატომ 1 ივნისს და არა რომელიმე სხვა დღეს. ერთ-ერთი ვერსიით, 1925 წელს ჩინეთის გენერალურმა კონსულმა სან-ფრანცისკოში ჩინური წარმოშობის ობოლი ბავშვებისთვის დუნ-უცზეს (დრაკონი-ნავების) ფესტივალი მოაწყო, რომელიც 1 ივნისს აღინიშნება. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ფესტივალი ჟენევაში საბავშვო კონფერენციის ჩატარების დროს დაემთხვა.



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ბავშვების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა ისეთი აქტუალური იყო, როგორც არასდროს, პარიზში 1949 წელს ქალთა კონგრესი გაიმართა. კონგრესზე მშვიდობის, როგორც ბავშვთა ბედნიერების ერთადერთი გარანტორის, შენარჩუნებისთვის ფიცი დადეს.

ბავშვთა უფლებების დაცვაზე მომავალშიც იზრუნეს.

ბავშვის უფლებების კონვენცია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც 1989 წელს გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ ერთმნიშვნელოვნად მიიღო. ამ დოკუმენტმა საზოგადოების მიერ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება საერთოდ შეცვალა. თუკი ადრე ბავშვი მხოლოდ ქველმოქმედების ობიექტად იყო მიჩნეული, ამ კონვენციის მიხედვით, ბავშვი არის სუბიექტი, რომელსაც ინდივიდუალური უფლებები გააჩნია. ბავშვთა უფლებების კონვენცია საკმაოდ უნივერსალური დოკუმენტია, რომელიც ბავშვის სხვადასხვა უფლებებს მოიცავს. მასში შედის ბავშვის უფლება ჯანდაცვაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე. მასში გაერთიანებულია როგორც სამოქალაქო უფლებები, ისე სოციალურ -ეკონომიკური და კულტურული უფლებები. შეგახსენებთ, რომ საქართველო საერთაშორისო კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რის შემდეგაც სახელმწიფომ ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საკუთარ თავზე აიღო. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავასახელებთ ქვეყანას, სადაც ბავშვის უფლებები სრულად არის დაცული, ის მეტ-ნაკლებად ყველგან ირღვევა. რაც შეეხება საქართველოს, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ კონვენცია აქაც სრულადაა დაცული, თუმცა გარკვეული მიმართულებით გაუმჯობესება შეინიშნება. თუ შევადარებთ მდგომარეობას, რაც 29 წლის წინ, კონვენციის მიღებამდე იყო, რასაკვირველია, მდგომარეობა გამოსწორდა...

მაგალითად, შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, ბავშვები სრულად არიან ჩართული განათლების სისტემაში, მაგრამ ბუნებრივია, რჩება ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები, როგორიც მაგალითად, ბავშვთა სიღარიბეა. ჩვენი მონაცემით 50 ათასი ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. თუმცა, ამ მხრივ მნიშვნელოვანი გარღვევა მაინც შეინიშნება: არსებული სოციალური სისტემა გადაისინჯა. ჩვენი მონაცემებით, არსებული სოციალური დაცვის სისტემა ბავშვის ინტერესებს საკმარისად ვერ ითვალისწინებდა. საქართველოში ბავშვიანი ოჯახები უფრო ღარიბი იყო, ვიდრე სხვა ოჯახები. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო არსებული სისტემა გადასინჯულიყო, რათა მას ღარიბი და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებები უკეთ განესაზღვრა. ამ სისტემის გადასინჯვა იურისტების დახმარებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტორს მიერ მოხდა. ახალი სისტემის მიხედვით, ყველა ბავშვზე გათვალისწინებულია ფულადი დანამატი, რომელიც აქამდე არ არსებობდა.

არსებობდა 41-ზე მეტი ბავშვთა სახლი, რომელიც დაიხურა.

ბავშვების უმრავლესობა საკუთარ ოჯახში დაბრუნდა, მხოლოდ ნაწილზე გავრცელდა ზრუნვის სხვა ფორმა. დღესდღეობით დარჩენილია ორი დიდი ზომის ბავშვთა ინსტიტუცია: თბილისისა და კოჯრის ბავშვთა სახლები და სენაკი, სადაც ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ცხოვრობენ, რადგან ვერ მოხერხდა ამ ბავშვებისთვის ზრუნვის სხვა ფორმის შეთავაზება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მსგავსი პრობლემის ბავშვებისთვის არ არის შესაბამისი დახმარება, სერვისები და ა.შ. ასევე ამ ბავშვების მიმართ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს სტიგმა.

ქუჩის ბავშვების თემაც კვლავ აქტუალურია საქართველოში.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, არსებობენ მათხოვარი ბავშვები, რომელთაც, ძირითადად, მშობლები ან მეურვეები ფულის შოვნის მიზნით იყენებენ და მათხოვრად აყალიბებენ. ქუჩაში ამ ბავშვების ფუნდამენტური უფლებები ირღვევა - ისინი არ არიან დაცულები ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ხდებიან შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი, ვერ იღებენ განათლებას და სამედიცინო მომსახურებას.

ბევრი მათგანი საქართველოს მოქალაქე არაა, ან უბრალოდ, არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი (ამ შემთხვევაში-დაბადების მოწმობა). ამიტომ მათი უფლებების დასაცავად ბრძოლაც გაძნელებულია...

ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2014 წელს, ჯანდაცვის სამინისტროს და ორგანიზაცია კარიტას გეორგიკას ერთობლივი მუშაობის შედეგად მობილური ჯგუფები შეიქმნა, რომლებსაც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემების მოგვარება უშუალოდ დაევალათ. ეს ჯგუფები დღემდე მუშაობენ. თუმცა, სახელმწიფო/სოციალური მომსახურების სააგენტო ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე ზრუნვის პროცესში მრავალ სირთულეს აწყდება.

თავშესაფრებში, რომელიც დღის ცენტრებიც არის, ბავშვებს საშუალება აქვთ, იცხოვრონ, ისწავლონ, მიიღონ ფსიქოლოგის მომსახურება. რეაბილიტაციის პროცესში ჩართულია ფსიქოთერაპევტიც. მათი კოლაბორაციის შედეგად დგება ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა, რომლითაც შემდგომში 6 თვის განმავლობაში ხელმძღვანელობენ. 6 თვის შემდეგ კი მიღწეული შედეგის მიხედვით ინდვიდუალური განვითარების გეგმა თავიდან იწერება. თავშესაფარი დროებითი, გარდამავალი ადგილია, სადაც, რეაბილიტაციის გავლის შემდეგ ბავშვები ცხოვრებას მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში აგრძელებენ. თავშესაფარში ბავშვის ცხოვრების მაქსიმალური ვადა 18 თვეა.

თუ ბავშვი თავშესაფარში გადაყვანის შემდეგ რეაბილიტაციას სრულად არ გაივლის და "გარბის", ის კვლავ ქუჩაში ხვდება და ადრინდელ ცხოვრებას უბრუნდება.

"ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია. თუ ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე და ბავშვი შეიძლება ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდეს, ასევე, თავისთავად ის ფაქტი, რომ ბავშვი ქუჩაშია, არ არის ნორმალური და რეაგირება მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორი უნდა იყოს რეაგირება, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა განიხილებოდეს. ეს არ არის ძალადობაზე დამყარებული სისტემა, ეს ნებაყოფლობითია. ბავშვთან, ასევე აუცილებლად ოჯახთან უნდა მიდიოდეს მუშაობა. შესაბამისმა სპეციალისტებმა უნდა გამოიკვლიონ ის მიზეზები, რის გამოც ბავშვი ქუჩაშია", - ამბობს გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, მაია ქურციკიძე.

ფსიქოლოგები ამ და სხვა მრავალი პრობლემის სათავეედ ასახელებენ იმ ტენდენციებს, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაშია გაბატონებული, მათ შორის კვლავ დომინანტია აზრი იმის თაობაზე, რომ ბავშვის აღზრდა ძალადობრივ მეთოდებზე უნდა იყოს დაფუძნებული, მთავარია, რა უნდა უფროსს და არა- ბავშვს.

მოსახლეობის 60 პროცენტი სწორედ ამგვარ მეთოდებს იყენებს ბავშვის აღზრდისას და კვლევებითაც დასტურდება, რომ მოსახლეობის ნახევარი დასაშვებად მიიჩნევს ბავშვის მიმართ ფიზიკურად დასჯის გამოყენებას, რაც თავისთავად შემაშფოთებელი მონაცემია. ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს და თუ გვსურს, რომ საზოგადოება განვითარდეს და ამასთან, ის იყოს ღია და ცივილური, სადაც ძალადობას არ ექნება ადგილი. გარდა იმისა, ეს ზეგავლენას ახდენს ბავშვის ფიზიკურ, სულიერ და მორალურ განვითარებაზე, იგი თავად იწყებს ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას სხვების მიმართ. დიდი შანსია იმისა, რომ ბავშვი პოტენციურ მოძალადედ ჩამოყალიბდეს, ამიტომ მშობლებს დიდი სიფრთხილე მართებთ შვილების აღზრდისას,- მშობელი ყველანაირად უნდა დაეხმაროს ბავშვს მისი პრობლემის დაძლევაში. სამწუხაროა ის, რაც კვლევებით დასტურდება, ანუ აბსოლუტური იგნორირება და პასიური დამოკიდებულება მოსახლეობის მხრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არაფერს გააკეთებს იმ შემთხვევაში,თუკი ძალადობრივი შემთხვევის მოწმე გახდება. ასეთები მხოლოდ რიგითი მოქალაქეები არ არიან... უკვე მიღებულია კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, ბავშვის ფიზიკური დასჯა ოჯახში, ძალადობის ფორმადაა მიჩნეული.

იმისთვის, რომ ყველა ბავშვი იყოს დაცული ძალადობრივი თუ ნებისმიერი არკეთილსასურველი გარემოსგან, ამისთვის მთელი საზოგადოების ერთად დგომაა საჭირო და არ უნდა ვიყოთ მხოლოდ სახლმწიფოებრივი ინსტიტუტების იმედად. უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო-ეს ხალხია!

* * *

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს თავისი ოფიციალური დროშა აქვს - ზრდისა და ჰარმონიის აღმნიშვნელ მწვანე ფონზე განთავსებული დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, ხოლო მის გარშემო ადამიანების წითელი, ყვითელი, ცისფერი, თეთრი და შავი ფიგურები მრავალფეროვნებასა და მოთმინებას განასახიერებს.

ამ დღეს ბავშვებისთვის მრავალრიცხოვანი გასართობი და კულტურული ღონისძიება იმართება, მაგრამ ბავშვთა დაცვის დღე მხოლოდ მხიარული და გასართობი ღონისძიება არ გახლავთ - ეს არის საზოგადოებისთვის იმის შეხსენება, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა აუცილებელია, რათა ისინი ბედნიერები გაიზარდონ, ისწავლონ, საყვარელი საქმით დაკავდნენ და მომავალში თავიანთი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად გაიზარდონ.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

დაბოლოს, რამდენიმე საინტერესო ფაქტი ბავშვების ირგვლივ:

1. სეიშელის კუნძულებზე ბავშვთა დაცვის ერთ დღეს კი არა, მთელ თვეს აღნიშნავენ.

2. უძველესი სათამაშო 3000 წელზე მეტი ხნისაა. ის ძველი სპარსეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და ლუვრში განათავსეს, რათა მისი ნახვა ყველა მსურველს შეძლებოდა.



3. კორეელი ბავშვები დანარჩენ მსოფლიოში მცხოვრებ თანატოლებზე 9 თვით უფროსები არიან. საქმე ის გახლავთ, რომ 9 თვე, რომელსაც ისინი დედის მუცელში ატარებენ, ახალშობილის ასაკად მიიჩნევა. შესაბამისად, კორეელი ბავშვი დაბადებისთანავე 9 თვისაა.

4. მსოფლიოში ყველაზე მეტი შვილი მაროკოს სულთან ისმაილს ჰყავს. მას 500 ცოლისგან 700 ვაჟი შეეძინა. სულთნის ქალიშვილების რაოდენობაზე კი ისტორია, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს.

# დაუვიწყარი დღეების ქრონიკა და ისტორიული გრან პრი...

დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლამ ამ დღეებში არნახული გამარჯვება მოიპოვა. ბათუმური დღეების ქრონიკას დაწვრილებით მოვუყვებით ჩვენს ერთგულ მკითხველს და ანსამბლის გულშემატკივრებს.

26 მაისს ბათუმში საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი 2018 — ხელოვნება მსოფლიოს გარშემო“ გაიხსნა.






XVIII საერთშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი 2018“, რომლის მხარდამჭერები არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "არსიანი", ასევე სამი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაცია: ჩIჵჶჶ, ჶჵჳჭჵლჳD და ჶIDAჶ, ხოლო ორგანიზატორია კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის საზოგადოება, ყოველწელს ტრადიციულად იმართება. წელსაც ფესტივალზე 16 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს დედაქალაქის და რეგიონების საუკეთესო კოლექტივები მონაწილეობდნენ. დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახ. სკოლის ვაჟთა ანსამბლი ფესტივალზე მიწვეულ იქნა თავისი წარმატებული შედეგების გათვალისწინებით. სკოლა და ანსამბლი, რომელიც სულ ოთხი წელიც არ არის, რაც დაარსდა, უკვე რამოდენიმე სხვადასხვა სინჯის მედლის მფლობელია, მათ შორის ორი ოქროს მედლის, მაგრამ, საერთაშორისო ფესტივალის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ფოლკლორი ძალიან ფაქიზი მუსიკალური ჟანრია და სიფრთხილეა საჭირო.,რომ მისი ტრადიცია და ღირებულებები არ დაირღვეს. თუმცა, ყოველი ახალი ღონისძიების დროს მას ახალი სული უნდა შთაბერო, რათა ახალი თაობებისთვის საინტერესო და მიმზიდველი გახადო. ეს არის საგანძური , რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს, ეს არის ქვეყნის ისტორია და ტრადიცია. სწორედ ამ ყველაფრის სრული დაცვით მოხდა ჩვენი ანსამბლის მონაწილეობა ბათუმში, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა. უცხოელი შემსრულებლებით (სულ 2500 მონაწილე) გადავსებულ აჭარის დედაქალაქს, ჩვენი სახელმწიფოს ზღვისპირა სიამაყეს, დედოფლისწყაროელი ბავშვები მოკრძალებულად შეურთდნენ, თუმცა, თავიდანვე საკუთარ თავში დარწმუნებულები და გამარჯვების ჟინით აღტყინებულები, რომლებსაც ერთი წუთითაც არ დაუშვიათ, რომ იქიდან შეიძლებოდა ხელმოცარულები დაბრუნებულიყვნენ. ბათუმის „ოქროს დელფინი 2018“ წელს გრანდიოზულად აღინიშნა პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავის გამო. ფესტივალის საზეიმო გახსნაზე , რომელიც ბათუმის კულტურული შოკისმომგვრელ ოპერის თეატრის შენობაში გაიმართა, საპატიო მონაწილეებად იყო ჩვენი ანსამბლი მიწვეული. მათ თავიანთი გამოსვლით და შესრულების მაღალი ხარისხით ჯერ კიდევ კონკურსამდე აღაფრთოვანეს მაყურებელი და აჭარის კულტურის სამინისტროსა და ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლობა. 26 მაისს, დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმზე , სადაც ფესტივალ-კონკურსის მონაწილე უცხო ქვეყნის მონაწილეების მსვლელობა მოეწყო, წინ ქართული ანსამბლებიდან მხოლოდ ჩვენი გუნდი მიუძღვოდა მათ „მრავალჟამიერით“, ანბანის კოშკთან ჩვენს ბიჭებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ზურაბ პატარაძე მთავრობის სხვა წევრებთან ერთად შეხვდა და ქიზიყელ ბავშვებს მოეფერა, გაესაუბრა და მადლობა გადაუხადა სტუმრობისთვის. იმავე დღეს 4 საათზე იყო ჩანიშნული ჩვენი გამოსვლა კონკურსზე. მშობლები ღელავდნენ, მთელი დღის ნამღერ ბავშვებს რა ხმა შერჩებათო,მაგრამ ნურას უკაცრავად! ჩვენმა ბიჭებმა გვასახელეს! გვასახელეს ისეთი მაღალი კონკურენციის პირობებში, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ „ერქვანი“(კახა შაქიშვილი), „ჩოხოსნები“(გ. ბუგიანიშვილი), „ფაზისი“(იროდი ტიკარაძე) და ა. შ. ქუთაისის, ჩოხატაურის, ზუგდიდის და სხვა საუკეთესო ფოლკლორული გუნდების ფონზე მათ არავის დაუთმეს უმაღლესი ჯილდო-გრან-პრი! როდესაც ჩვენი ანსამბლის საკონკურსო გამოსვლა დასრულდა, ჩვენ, მშობლებმა ჟიურის გავხედეთ და მათი ემოცია რომ დავინახეთ, უკვე ვიცოდით, რომ გავიმარჯვებდით, ისინი არამხოლოდ ტაშს უკრავდნენ , ერთმანეთს უყურებდნენ კმაყოფილი სახეებით და არ მალავდნენ გაკვირვებას. იმ წუთიდან მე პირადად ოქროს მედალს ველოდი, მაგრამ გ რ ა ნ პ რ ი , სიმართლე უნდა ვთქვა, არ მიფიქრია.

ლევან თარხნიშვილი, სოლისტი-პირველ რიგში ყველას დიდი მადლობა მოლოცვისთვის და გვერდში დგომისთვის, ასევე გელა მასწავლებელს, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა ამ საერთაშორისო კონკურსზე გავეყვანეთ და ამდენისთვის მიგვეღწია. ულრმესი მადლობა ბ-ნ ვაჟა ოზაშვილს, რომელმაც ანსამბლის ძირითადი შემადგენლობის დაფინანსება თავისთავზე აიღო ,რომ არა ის, ჩვენ ამ კონკურსზე ვერ მოვხვდებოდით და ვერც ამ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით. ჩვენი ანსამბლის ამ საერთაშორისო კონკურსზე გასვლა უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენთვის მომავალში. ჩვენ იქ წარმოვადგენდით არამარტო დედოფლისწყაროს, არამედ მთელ საქართველოს, რაც ძალიან საპასუხისმგებლოა...ეს ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, სწორედ ამან მოგვიტანა გამარჯვებაც... რათქმაუნდა, ჩვენი ანსამბლი აქ არ გაჩერდება და უფრო მაღალი მწვერვალების დასაპყრობად იბრძოლებს!...

ლევან ბენაშვილი, სოლისტი-ჯერ კიდევ წარმოუდგენელია ჩემთვის ის ფაქტი, რომ ფესტივალის გრანპრის მფლობელნი გავხდით. ვულოცავ ამ წარმატებას ანსამბლის ხელმძღვანელს ბ–ნ გელა გველუკაშვილს,ანსამბლის თითოეულ წევრს და გულშემატკივრებს . დიდ მადლობას ვუხდი ბ–ნ ვაჟა ოზაშვილს თანადგომისთვის და ფინანსური მხარდაჭერისთვის.

გიორგი ჩიბუხაშვილი, სოლისტი- ძალიან სასიხარულო და მოულოდნელი იყო ყველაფერი, საერთოდ არ მოველოდი გრანპრის, ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, ვულოცავ ანსამბლის თითოეულ წევრს, მადლობა გელა მასწავლებელს და ბ-ნ ვაჟას, რომ არა მისი კეთილი ნება, ჩვენ ვერ მოვხვდებოდით ამ ფესტივალზე.

ფერიდე ტვილდიანი, მშობელი-„დიდი ხანია არაფერი დამიწერია, ახლა კი ჩემი შთაბეჭდილებებით გიბრუნდებით, ჩემი ცხოვრების იმ პატარა მონაკვეთს აღვწერ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, უსაზღვრო ბედნიერებისა და სიხარულის გრძნობით ამ ამბის გაზიარება თქვენთვისაც მინდა.



მთელი სამყარო სრულ წყვდიადში ჩაკარგულიყო, მხოლოდ ერთადერთ სცენას ანათებდა ცისფერი შუქი, სადაც ჩვენი რაიონის სულისჩამდგმელი ანსამბლის „ჰამლეტ გონაშვილის ბიჭების“ ხმის გუგუნი აფხიზლებდა იქაურობას. მე ამ ყველაფერს ჩაბნელებული დარბაზიდან ვაკვირდებოდი გაშეშებული, არ მინდოდა რაიმე დეტალი გამომრჩენოდა, ვერც კი შევამჩნიე, როდის დაასრულეს სიმღერა, რომ უცებ უწყვეტი ტაშის ხმა გაისმა მთელს დარბაზში, ჟიურიც კი კმაყოფილების ტაშს უკრავდა. მაშინ ვიგრძენი უჩვეულო რამ, არ ვიცი, ეს სიამაყის განცდა იყო თუ კიდევ ბევრი სხვა სიხარულისა და ბედნიერების შეგრძნებისა, რასაც მე სიტყვებით დღესაც ვერ გამოვხატავ! მადლობა უფალს, რომ ასეთი პედაგოგი გვარგუნა, მადლობა ბავშვებს , მშობლებს, ყველა ჩვენს გულშემატკივარს და კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას, მეამაყებით და მეიმედებით, ჩემო ძვირფასებო! ჩვენ არა მარტო კონკურსით ვიყავით დაკავებულნი, არამედ, სამი დღე მაქსიმალურად დავიტვირთეთ, რათა ბავშვებს მეტი და მეტი ენახათ. მათ იცეკვეს სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეებთან ერთად, სათავეში მიუძღოდნენ 26 მაისის აღლუმს, ისეირნეს გემით, იცურავეს გონიოს ანკარა ზღვაში და იქ კიდევ ერთხელ ჩავფიქრდი დროსა და სივრცეს შორის აცდენილ ნაფეხურებზე, რომლებიც ჯიუტად ეძებდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის ფიქრად ქცეულები, ჩვენი ოცნების სამყაროში დასეირნობდნენ.“-ასე ხატოვნად გადმოგვცეს თავის ემოციას საბა ბუთხუზის დედა.

დასარულს, კიდევ ერთხელ ვულოცავ ანსამბლის თითოეულ წევრს, ხელმძღვანელს, მშობლებს, ყველა გულშემატკივარს, მერიას,საკრებულოს და სრულიად დედოფლისწყაროს ამ დიდ გამარჯვებას, მადლობა ყველას, ვინც ჩვენი სიხარული და გამარჯვება გაითავისა, მადლობა ვაჟა ოზაშვილს, იმ სიკეთისთვის, რაც მან ჩვენი ბავშვებისთვის დიდი სიხარულით გაიღო, მადლობა ჩვენს მძღოლებს სამთაწყაროდან-ბ-ნ როლანდ ხილაძეს და თემურ დიმიტრაძეს, იმ მაღალი პასუხისმგებლობისა და მშობლიური დამოკიდებულებისათვის, რაც მათ ჩვენი ბავშვებისთვის გააკეთეს, როდესაც გააკეთეს იმაზე მეტი, რაც მათ მოვალეობებს აღემატებოდა, მადლობა ყველას, ვისაც კარგად ესმის, რომ ბავშვებისთვის, მომავალი თაობებისთვის გაკეთებული სიკეთე ის განძია, რომელიც არასოდეს დაიკარგება, რომელიც არამარტო წინ დაგხვდება და გამარჯვებებს მოგიტანს, არამედ დიდ სიამოვნებას მოგანიჭებს, ეს უბრალოდ შანსია, რომელიც არცერთმა ჭკვიანმა ხელიდან არ უნდა გაუშვას!...



ელზა ხარაშვილი

# ხელოვნების სკოლაში ანსამბლ „მანდილის“ 10 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა

10 წლის წინ ქალბატონმა დალი ელისაშვილმა რამდენიმე გოგონა შემოიკრიბა და ფოლკლორული სიმღერის სწავლების საქმეს მოჰკიდა ხელი. მის საქმიანობას მალე წარმატებები მოჰყვა, იყო პირველი ფესტივალი, შემდეგ მეორე და ასე მოაღწიეს დღემდე, მრავალი ჯილდოთი და ფესტივალებით თავაწეულებმა და ამაყებმა... მანდილის პირველი მოსწავლეები იყვნენ: თეონა ბენაშვილი, მარიამ ლოლაშვილი, ანა ხუმარაშვილი, ნათია თავაძე, გვანცა მახარაშვილი და სხვები.



რამდენიმე დღის წინ, ხელოვნების სკოლაში ანსამბლ „მანდილის“ ათი წლის საიუბილეო კონცერტის სტუმარი გახლდით. ისე, როგორც ყოველი დედოფლისწყაროელი, ცხადია, მეც დიდი თაყვანისმცემელი ვარ დალი ელისაშვილის და მისი გოგონების გუნდის, რამეთუ ვერცერთი ადამიანი გულგრილი ვერ მოისმენს ნიჭიერი ქიზიყელი გოგონების ნამღერს. შეუძლებელია მოუსმინო ლიზი ყოჩიაშვილს, მის დებს ანასტასიას და მარიამს, ანდა დებს ლოლაშვილებს და თვალზე სიხარულის ცრემლი არ მოგადგეს. მათი სიმღერა მაგრძნობინებს, რომ ჩვენ ძლიერი ერი ვართ, რომელსაც ბრწყინვალე წარსული, აწმყო და მომავალი გვაქვს. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი კი ქალბატონი დალი ელისაშვილი გახლავთ, რომელიც საქმისადმი ერთგულებით და მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით, უკვე რამდენიმე წელია, დედოფლისწყაროს ისტორიის ნაწილია.

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ხელოვნების სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლია ხაჩიაშვილი. საღამო გახსნილად გამოაცხადა თავად ქალბატონმა დალიმ, ისაუბრა ანსამბლ „მანდილის“ შესახებ და სცენა „მანდილის“ წევრებს დაუთმო. შესრულდა საგალობლები: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ და „შობა“, „ხინწკალა“, „მიყვარხარ ტკბილო კახეთო“, „გურული პოპური“ „დაიგვიანეს“, „გუთნური“ ამოდი მთაში, „ლაჭები და ოფიტარა“ „ზამთარო“, „ბინდისფერია სოფელი“, „ჰარალო“, აჭარული პოპური“. ასევე დებმა მარიამ და ანა ლოლაშვილებმა და თეონა ბენაშვილმა შეასრულეს საგალობლები. კონცერტი მრავალჟამიერით დასრულდა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი ბიჭუნა, ლუკა ყაჭაშვილი, რომელმაც ორ სიმღერაში სოლისტობა გაუწია „მანდილს“. საღამო მთლიანობაში გახლდათ მასპინძელივით თბილი და მშვიდი, რომელსაც ოვაციები და მქუხარე ტაში არ აკლდა. რამდენჯერმე მოუწიათ „მანდილის“ წევრებს “ბის”-ზე გამოსვლა.

ანსაბმლ „მანდილის” ათწლიანი ცხოვრება მრავალწლიანი, თავაუღებელი შრომით და გარჯით მოვიდა დღევანდლამდე. საიუბილეო დღეს მადლობის და მილოცვის წერილები არ წყდებოდა თავად ხელმძღვანელის -ქალბატონი დალი ელისაშვილის სოციალურ გვერდზე, რაც იმის დასტურია, რომ მან ამ მოკლე ხანში საზოგადოების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამის დასტურია ქვემოთ დაბეჭდილი გზავნილებიც!

თამუნა ბოსტაშვილი, **დები ყოჩიაშვილების დედა**: „გამოვხატავთ თქვენს მიმართ გულწრფელ მადლიერებას, ქალბატონო დალი! ჩემი შვილების და ანსამბლ „მანდილის“ წარმატება შეუძლებელი იქნებოდა თქვენი თავდაუზოგავი შრომის გარეშე. გულითადი მადლობა იმ გაწეული შრომისთვის, რასაც თქვენ ეწევით ჩვენი შვილების სწორად აღზრდის საქმეში!“



ლიკა ლოლაშვილი, **ანსამბლ „მანდილის“ წევრი:** „ანსამბლი, სადაც პირველად დავიწყე ხმებში სიმღერა, სადაც პირველად შევეხე ქართულ პოლიფონიას და სადაც დავაფასე ხალხური სიმღერა, დღეს უკვე 10 წლისაა... მადლობა დალი მასწავლებელო თქვენი შრომისთვის.... თქვენ ახერხებთ ყველას შეაყვაროთ ხალხური სიმღერა... თაობები იცვლება... ვუყურებ ლიზი ყოჩაშვილს და მარიამ ჯორკოშვილს და ვამაყობ მათით... გილოცავთ გოგონებო კონკურსში აღებულ ნომინაციას “ საუკეთესო კახური დუეტი”, წარმატებები კიდევ და კიდევ... გილოცავთ“...

მარიამ ჯორკოშვილი, **„მანდილის” სოლისტი:** ანსამბლ “მანდილში” მე მივედი 2016 წელს, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ადრეც დავდიოდი როდესაც ვიყავი 8-9 წლის, შემდეგ მქონდა დაახლოებით 7 წლიანი პაუზა, რადგან მე გამიტაცა სხვა ჟანრმა. სცენაზე ძირითადად საესტრადო სიმღერებს ვასრულებდი, სადაც მონაწილეობას ყოველთვის იღებდა ანსამბლი მანდილი და კვლავ გამიჩნდა სურვილი ანსამბლში დაბრუნების. აქ ყოფნა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ადგილი, სადაც იღებ სულიერ საზრდოს, ეზიარები და შეიგრძნობ ფოლკლორულ სიმღერის ძალას. სწავლობ თანადგომას, მეგობრობას, ურთიერთპატივისცემას. ანსამბლი მანდილი ჩვენთვის, მისი წევრებისთვის მეორე ოჯახია, რომელსაც ყოველმხრივ სრულყოფილი პიროვნება, ჩვენი უსაყვარლესი დალი მასწავლებელი ხელმძღვანელობს. მე არ მეყოფა სიტყვები დალი მასწავლებლის დასახასიათებლად. იგი ჩემთვის მისაბაძი პიროვნებაა, ქალის ეტალონია.

როგორ შეიქმნა „მანდილი“ და რა გზა განვლო ანსამბლმა და მისმა ხელმძღვანელმა 10 წლის მანძილზე, ამაზე დალი ელისაშვილი თავად საუბრობს:

**-ქალბატონო დალი, გთხოვთ გაიხსენოთ ანსამბლ „მანდილის“ ჩამოყალიბების პირველი დღეები, რა სირთულეებთან იყო ეს დაკავშირებული და როგორ შეძელით ცარიელი ხელებით ამ დღემდე მოსვლა?**

-თავიდან ერთ და ორხმიანი მარტივი სიმღერებით დავიწყეთ ფანდურის თანხლებით. ნელ ნელა პოლიფონიური აზროვნება ჩამოუყალიბდათ ბავშვებს და სამხმიან ა-კაპელა სიმღერებზე გადავედით. წელს უკვე ურთულესი ქართლ-კახური სიმღერები შევასრულეთ, როგორიცაა „ზამთარი“, „დაიგვიანეს“, „ოროველა, „მიყვარხარ, ტკბილო კახეთო” და სხვა. 10 წლის განმავლობაში გოგონათა რამდენიმე თაობა გაიზარდა ანსამბლში. მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა ხალხური სიმღერის სიყვარულისა და თავდაუზოგავი შრომისათვის. არ შეიძლება ხალხურ სიმღერას სწავლობდე და სამშობლო არ გიყვარდეს. სამშობლოს სიყვარული გოგონებმა პირველ რიგში ოჯახებიდან მოიტანეს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მათ მშობლებს, რომელთა დამსახურებაცაა გოგონების ღრმა პატრიოტული შეგნება. დღევანდელ რთულ პირობებში ხალხური სიმღერისა და საგალობლის შესწავლა ერის არგადაშენების ერთ- ერთი პირობაა.

ქართული ხალხური სიმღერის სირთულე ის გახლავთ, რომ იგი პოლიფონიურია, მოითხოვს კარგ მუსიკალურ სმენას, ხმის დახვეწილობას. არ არის საკმარისი, რომ მომღერალმა კარგად იმღეროს, იგი აუცილებლად სხვებსაც უნდა უსმენდეს და ხმა შეუწყოს-ესაა მთავარი სიძნელე, ჩემი აზრით. ბავშვები გუნდში სწავლობენ ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს, ისინი ერთი ოჯახივით არიან. აქ შეძენილი მეგობრობა და სიყვარული წლების განმავლობაში გაჰყვებათ.

**-რა გახლდათ „მანდილის“ წარმატების საიდუმლო?**

-ჩვენს წარმატებულობას რაიმე საიდუმლო საფუძვლად არ უდევს. ჩვენი წარმატება დაფუძნებულია ჩვენი დიდი წინაპრების მოწოდებაზე: გვიყვარდეს ღმერთი, სამშობლო და ერი ჩვენი. როცა ღმერთის იმედი და საქმის სიყვარული გაქვს, ყველა პრობლემას გადალახავ.

**- უამრავი წარმატებული გამოსვლა, უამრავი გრანპრი, მედლები და სიგელები მოიპოვა „მანდილმა” თავისი ათწლიანი არსებობის მანძილზე, ამ გამარჯვებებს, რომ არ შევეხოთ ჩვენი ინტერვიუ არასრულყოფილი იქნება.**

-ჩემთვის ყოველთვის დიდი სიხრული იყო ნიჭიერი ბავშვის მოსვლა ანსამბლში, მინდოდა სრულად წარმომეჩინა მისი ვოკალური შესაძლებლობები. დიდი სიყვარულით გავიხსენებ ყოფილ სოლისტებს: გვანცა ვარდიშვილს, ნათია ლატარიას, ანა ხუმარაშვილს, მარიამ გონაშვილს, დებ ლოლაშვილებს, ქეთი ჩაფიაშვილს და სხვა. ქეთი ფინეთშია გაცვლითი პროგრამით და ვერ ჩამოვიდა. საიუბილეო კონცერტზე იმღერეს ანა და მარიამ ლოლაშვილებმა, გვანცა ვარდიშვილმა და თეონა ბენაშვილმა, რომლებიც სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდნენ თბილისიდან. ამჟამად ანსამბლში 12 გოგონაა, ოქტომბერში ვიწყებთ მოსამზადებელი ჯგუფის მეცადინეობას, სადაც ველით ნიჭიერ ბავშვებს რვა წლიდნ და ზევით. სწავლა უფასოა. ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებთ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების ეროვნულ კონკურსებში და ყოველთვის მაღალ შედეგებს ვაჩვენებით. დიდი მდლობა ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, თამარ თამაზაშვილს, ნონა ჯიბღაშვილს და კულტურის ცენტრის ყველა თანამშრომელს გვერდში დგომისა და დახმარებისათვის. ანსამბლის წამყვანი სოლისტები არიან ლიზი ყოჩიაშვილი დ მარიამ ჯორკოშვილი, რომლებიც თავდაუზოგვად შრომობენ. მათ ამ ძალიან მოკლე დროში ურთულესი ქართლ-კხური სიმღერები შეისწავლეს. ამჟამად გამართულ მეოთხე საგუნდო კონკურსზე მათ გაიმარჯვეს ნომინაციაში „საუკეთესო კახური დუეტი” და ანსამბლთან ერთად იმღერებენ 1 ივნისს კონსერვატორიის დიდ სკონცერტო დარბაზში. შარშან საგუნდო კონკურსზე პირველი ადგილი და ვერცხლის მედლი მივიღეთ, ხოლო ლიზი ყოჩიაშვილი დასახელდა კონკურსის საუკეთესო სოლისტ გოგონად. ამის გარდა, დებმა ყოჩიაშვილებმა პირველი ადგლი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წელსაც პირველ ადგილზე გავედით. დები ყოჩიაშვილების და დები ლოლაშვილების ოჯახები ცნობილია თავისი მუსიკალური ტრადიციებით, მათ წარმატებაში ოჯახს უდიდესი როლი აქვს. მინდა აქვე დავასახელო საუკეთსო სოლისტი მალვინა ისმაილოვა. სასიხარულოა, რომ ანა ლოლაშვილი და ბენაშვილი სწავლობენ გიორგი მთაწმინდელის ხალხური სიმღერისა და გალობის უმაღლეს სასწავლებელში და მომავალ თაობას აზიარებენ წინაპრების უძვირფასეს დანატოვარს. ანა დასახელდა ამ უმაღლესი სასწავლებლის წლის საუკეთესო სტუდენტად და დაენიშნა სახელობითი სტიპენდია. გიორგი მთაწმიდლის სასწავლებლის გუნდმა, სადაც ეს გოგონები მღერიან, წლევანდელ საგუნდო კონკურსზე გრან პრი დაიმსხურა. ვულოცავთ გოგონებს!

**-ხელოვნება არის საზოგადოებასთან მიმართვის საუკეთესო საშუალება, თქვენი საქმიანობით ძალიან დიდი სათქმელს ეუბნებით წარსულს, აწმყოს და მომავალს, მაგრამ მაინც, რა არის თქვენი ყველაზე დიდი სათქმელი საზოგადოების წინაშე?!**

-ჩემი მთავარი სათქმელი სათავეშივე ვთქვი და ეს გახლავთ ის, რომ პატრიარქის მოწოდებას დავუგდოთ ყური, რომელიც ბრძანებს: გვიყვარდეს ღმერთი, სამშობლო და ადამიანი!



ლალი მეხრიშვილი




გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1975 WLIS IVNISI

◆ ZEMO QEDI TIPIURI MAGALITIA IMISA, TU SABWOTA XELISUFLEBIS WLEBSI, ERT DROS CAMORCENILI, MIWUREBISA DA QOXMAREBIANI DASAXLEBA ROGOR SWRAFAD GADAIQCA TANAMEDROVE SOCIALISTUR SOFLAD, ROMELSAC AMSVENEBS FARTO, MOASFALTEBULI QUCEBI DA LAMARAD NAGEBI ORSARTULIANI SAXLEBI, ELEQTROWISQVILI DA AGURIS QARXANA, SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS OBIEQTEBI DA BIBLIOTEKA SAMKITXVELOEBI, ORI SKOLA DA SAAVADMYOFO. AXLO MOMAVALSI SOFELS SNOSA DA LAZATS SEHMATEBS KULTURIS SAXLISA DA SPORTULI DARBAZIS WARMOUDGENLAD MASSTABURI DA SESANISNAVI SENOBEBI.

◆ ATASJER DAIWERA DA ITQVA SOFELSI PIRUTYVIS YOLIS SAWESDEBO NORMEBIS SESAXEB, NORMEBIS DARRVEVISA DA QUCEBSI CXXOVELTA XETIALIS SESAXEB, MAGRAM VER IQNA DA TAVI VER MOEBA AM SAQMES. SOFLIS ZOGIERTI MCXOVREBIS ES TAVNEBOBA KI SXVADAXVA DANASAULIS MIZEZI XDEBA. ZEDMETI PIRUTYVIS YOLIT ISINI UXESAD ARRVEVEN KOLMEURNEOBIS WESDEBAS, QUCASI PIRUTYVIS XETIALIT XELI AR SEESALOS TRANSPORTIS NORMALUR MOZRAOBAS DA ZOGJER AR GAMOIWVIOS AVARIA. NEBAZE GASVEBULI SAQONELI UMOWYALOD AZIANEBS SOFLIS MAXLOBLAD ARSEBUL SAKOLMEURNEO JEJILEBS DA MRAVALWLIAN NARGAVEBS. ZEMO QEDIS SASOFLO SABWOS ARMASKOMMA AMIS GAMO 110 MANETIT DAAJARIMA DATIKO ILURIZE, 39 MANETIT OLIA BEQAURI, 33 MAANETIT ELIOZ ILURIZE.

## 1979 WLIS IVNISI

◆ ZEMO QEDSI QSNELEBIS UBANSI, SADAC RVAWLIANI SKOLA MOQMEDEBS, XEZE CAMOKIDEBULIA GAKVETILEBIS DAWYEBA-DASRULEBIS MAUWYEBELI ZARI. WITELWYAROS MEORE SASUALO SKOLIS MERVE KLASIS MOSWAVLE PAATA FAVLENISVILI GONEBAMAXVILI DA ZIEBISMOYVARULI BAVSVIA. AMASWINAT MOMITANA FURCELZE AMOWERILI RAMDENIME SITYVA. ROGORC MITXRA AM ZARZE SENISNA WARWERA DA SITYVASITYVIT AMOWERA, INTERESSI CAVARDA DA GASIFVRAAMOKITXVAS MTXOVS. KARGAD ICIS CEMI SAOJAXO KOLEQCIA DA WITELWYAROS TERITORIAZE NAPOVNI DA CEMS MIER SEGROVEBULI MATERIALURI ZEGLEBIS MNISVNELOBA. MAN TAN MOIYOLA MEGOBREBI, ZAZA ZURIKASVILI, PAATA CISKARAULI DA SXVEBI. GADMOMCES LITONIS SAFERFLE FARSEVANGIS FRTIS GAMOSAXULEBIT, ROMELZEC SISVELI QALIA GAMOKVETILI. ADAMIANEBISA DA FRINVELEBIS MEGOBROBAA GADMOCEMULI. IM ZARZE KI IKITXEBA SEMDEGI: `QSAMWIRET ERTOBLIV, BODBELEBMA BODBIS SVETIS CXOVELIS EKLESIAS ZURABLOS MEMCXVAREEBMA CUENIS SULIS MOSAXSENEBLAD C.U. N.G WELSA.~ SESABAMISI LITERATURIS DAXMAREBIT ES TEQSTI GAVSIFRE. 526 WLIS WIN NAKETEBI DA BODBESI SEWIRULI JVARIA ZEMO QEDIS SKOLASI. SAD IKITXEBA 526 WELI? ANBANIS ASOEBI RICXVITI MNISVNELOBISAA. ASO C-S RICXVITI MNISVNELOBAA 1000; U- 400; N - 50; G- 3. ROM SEVKRIBE GAMOVIDA 1453 WELI. MAS ASE: YOFILA BODBELI ZLIER MDIDARI VINME ZURABI, BEVRI CXVARI DA MOJAMAGIREEBI HYOLIA. EKLESIISTVIS ZARI MOJAMAGIREEBS SEUWIRIAT. JAMAGIRIS FULIT SEUZENIAT, ANU NATURIT MIREBULI CXVRIS FLIT. ANU MATI NATVRAA, SVETICXOVLIS ZALIT GAXDNEN ISETIVE MDIDARI MECXVAREEBI, ROGORIC ARIS MATI UFROSI ZURABI,~ - WERS ISTORIKOSI IOSEB MENTESASVILI.

◆ ARBOSIKSI WISQVILI DUMS. KARGA XANIA SOFLIS MACXOVREBLEBS MARCVALIS DASAFQVAVAD SOFEL GAMARJVEBASI UXDEBAT SIARULI. IOLI SAQME RODIA, TOMREBIT SAFQVAVI MEZOBEL SOFELSI ATARO. YVELAS XOM AR AQVS TRANSPORTI, AN ETLIANI PIRUTYVI. ESEC ROM AR IYOS, ARBOSIKI ERTERTI DIDI SOFELIA DA MACXOVREBLEBIS SIMRAVLIT GAMOIRCEVA. SOFELSI MSROMELI XALXI CXOVROBS, ISINI SAKOLMEURNEO MINDVREBSI, MECXOELEOBIS FERMEBSI, WARMOEBA-DAWESEBULEBEBSI MUSAOBEN. AMITOM SAWIROA MAT KULTURUL SAYOFACXOVREBO PIROBEBI HQONDET, RAC AM SOFELSI ARASAXARBIELOA. SOFELS AQVS ABANO, MAGRAM 6 TVEA AR MUSAOBS, ES KI ZALIAN DIDI DROA AMXELA SOFLISTVIS. MOSAXLEOBIS SAMARTLIAN GULISWYROMAS IWVEVS IS FAQTI, ROM AM XNIS MANZILZE PROBLEMIS ARMOFXVRA VER MOXERXDA.

◆ YOVELTVIS UAMRAVI WERILI SEMODIS GAZET `AXALI SIRAQIS~ REDAQCIASI. AVTOREBI GVEKITXEBIAN RATOM AR MUSAOBS WITELWYAROS ABANOS SAERTO GANYOFILEBA DA RATOM AR ARIS IQ QOSEBI. ZOGGAN AVTOREBI GULISTKIVILIT GVIYVEBIAN, ROM SADAC GADATXRIAN QUCEBS, MOSWOREBA DA XRESIS MIYRAZE ARARAVIN FIQROBS. MAGALITAD RKINIGZIS SADGURISWIN IMDENI QVA-RORRI YRIA, IMXELA GUBEEBI DGEBA, DIDI MANQANA SIG CAIMALEBA. SAMGZAVRO MATAREBLIDAN CAMOSUL XALXS QALAQSI GADAADGILEBA UWIRS. BEVRI RAM AWUXEBT MSROMELEBS, MAGRAM MATI YVELA MOTXOVNA KANONIERIA DA DROULAD UNDA IRON YURAD IMAT, VISAC ES EVALEBA. AMRIGAD, REDAQCIA AVTOREBSA DA MSROMELEBTAN ERTAD MOELIS SAQMIAN PASUXEBSA DA PRAQTIKUL REAGIREBAS SESABAMISI ORGANIZACIEBISA DA DAWESEBULEBEBISGAN.

◆ CUDI MDGOMAREOBAA QUCEBIS GANATEBIS SAQMESI. KOLMEURNEOBIS GAMGEOBAM DA ARBOSIKIS SASOFLO SABWOM VITAREBIS GAMOSASWOREBLAD BEVRI RAM GAAKETES, GURJAANIDAN SPECIALISTEBIC CAMOIYVANES. VIFIQRET, AXLA MAINC GVESVELEBAO, MAGRAM RARAC MARTULEBI DAWIMES DA MEORE DRESVE WAVIDNEN, MAS SEMDEG SAQMES AR GAHKAREBIAN.

◆ ARBOSIKIS KULTURIS SAXLI DIDI XANIA REMONTS MOITXOVS. WERI MTLIANAD ISE DAZIANEBULIA, WYALI CAMODIS, KULTSAXLIC DA BIBLIOTEKAC WYLIT IVSEBA. MAGRAM `GAMORMIT ME VAR, GARMIT SEN, SUA CAMODIS MDINARE~ - ASE MRERIS ARBOSIKIS MOSAXLEOBIS 30%. ROCA WVIMIANI AMINDIA, SOFLIS ERTI MXRIDAN MEORESI GADASVLA SEUZLEBELI XDEBA. KAPITALURI GZEBIS DAGEBA ROM DAIWYES, YVELAS GAUXARDA, MAGRAM SKOLIDAN KOTAANIS BOLOMDE XALXI UGZOD DARCA. AQ 300 KOMLI CXOVROBS DA ARCERTI GADASASVLELI AR ARIS. WYALI ROM ADIDDEBA, SAMUSAODAN DABRUNEBULI XALXI MEORE MXARES GADASVLAS VER AXERXEBS. TU WVIMA DIDXANS GAGRZELDA MINDVRIDAN DABRUNEBULI XALXI IQVE EZEBS RAMIS GASATEV TAVSESAFARS.

◆ ROCA BALAXIS FQVILIS DASAMZADEBELI AGREGATI SAMUSAO MDGOMAREOBASI MOVIYVANET, MASINATVE GADAVWYVITET, DRE RAMIS GANMAVLOBASI OR CVLAD GVEMUSAVA. AMAS MOITXOVS KOLMEURNIS UNAR-CVEVEBI DA CVENC ZAL RONES AR VISUREBT. AGREGATI SOFEL QVEMO QEDIS BOLOS MDEBAREOBS DA AXLOSAA SAKVEBI KULTUREBIS NATESTAN, AMITOM AQ MWVANE MASAS SEUFERXEBLAD EZIDEBIAN. MIREBUL MASAS FXVNILAD DA GRANULEBAD VAQCEVT, YOVELDRIURAD 4-5 TONA BALAXIS FQVILS VAMZADEBT. SEFERXEBEBI ROM AR IYOS, DRIURI WARMOEBA GACILEBIT METI IQNEBODA. TEQNIKURI PROBLEMEBI XSIRIA. RAMDENIME DREA AR MUSAOBS GRANULATORI, GVESAWIROEBA SALNIKEBI, MAGRAM `SAQSAXKOMSOFLTEQNIKIS~ RAIGAERTIANEBIS XELMZRVANELOBA YURADREBAS AR GVAQCEVS. SATADARIGO NAWILEBIS UQONLOBIS GAMO KI ATASOBIT TONA BALAXIS GRANULI IKARGEBA. WARMOEBIS GADIDEBASTAN DAKAVSIREBIT ASEVE ARAR GVYOFNIS QARALDIS PARKEBI, SAWIROA ES SAKITXIC GADAIWRAS, ROM SEFERXEBEBI AR GVQONDES.

### თუ ჩაგივლიათ კურიშკოს ბაღთან?

იმ მშვენიერ დღეს კურიშკოს ბაღთან,
თუ ჩაიარეთ, ნახავდით ალბათ,
ორი თუ სამი ხბო იყო ბაღში,
დასეირნობდნენ დინჯად და ზანტად,
თუ დასცხებოდათ, იდგ ნენ ხის ჩრდილში,
იმათ არაფრის არ ჰქონდათ შიში,
არავინ იყო მათი მკითხავი
და ხმოვდნენ ბაღში გადამხმარ ბალახს,
შუადღისას კი აელოთ თავი
და წყლის მებნაში სერავდნენ ქალაქს.
რადგან ამ ბაღთან წყარო რომ არის,
მოუმტვრევიათ მისთვის ონკანი,
იქ წყალი აღარ მოედინება,
ასე ინებეს რადგან „გმირებმა“.
ქალაქის ცენტრში, როგორც ბატონნი,
დასეირნობდნენ ხბორები ლაღად,
დავუშვათ, ხბორებს არ ჰყავთ ჰატრონი,
ხომ უნდა ჰყავდეს იმ ბაღს და ქალაქს?

/A. JALIASVILI/

(STILI DACULIA)

**მოამზადა**

ილია მარტყოფლიშვილმა

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**შვეულად:** 1. დინამიტის გამომგონებელი, რომელმაც მსოფლიო სხვა რამით შეცვალა 2. ყველაზე თბილი ზღვა დედამიწაზე 3. ნესვის ხე 4. ძვლების დაავადება. გამოწვეულია „დ“ ვიტამინის ნაკლებობით 5. სამკურნალო მცენარე, იგივე ცხვირისსატეხელა 6. თბილისის უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი ... ჯავახიშვილი 9. თვალის ფერადი გარსის ანთება 12. გაბრიელა, იგივე ... შანელი 13. გადამდნარი ღორის ქონი 14. ყველაზე რბილის მინერალი 15. ათი ცენტნერი 16. ამ ცხოველის უნაგირს კეხი ჰქვია 17. რომის ლეგენდარული დამაარსებელი და პირველი მეფე, რემუსის ტყუპისცალი 18. სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით ემთხვევა სხვა სიტყვას, მაგრამ განსხვავდება ბგერითი შემადგენლობით 21. ღვთაებრივი მხსნელი 22. „მე, შენ და ბავშვი ოქროს სიზმრებად და ოცნებებად დავიხარჯებით, ... გავმრავლდებით და გავიზრდებით, მოემატება სახლ-კარს ფანჯრებიც” (შოთა ნიშნიანიძე) 23. ძალიან ნელი ტემპი მუსიკაში 24. „მწვავე ...“ - იგივე კაუსტიკური სოდა

**თარაზულად:** 3. გამჭვირვალე მკვრივი ქაღალდი, რომლისგანაც კალკს ამზადებენ 7. პორტუგალიაში ამ სანახაობას ტორადა ჰქვია. რა ჰქვოა ესპანეთში? 8. გულზე დასაბნევი სამკაული - ბროში ან ჯვარი 10. ალბანელი კათოლიკე მონაზონი, რომელიც პაპმა ფრანცისკემ წმინდანად შერაცხა 11. ჯერ ნიკოლსონი ფილმში „... ალქაჯები“ 12. ალუმინის თხელი ფურცელი, იყენებენ კვების მრეწველობაში 16. ინფექციურ დაავადებათა გამომწვევი უწვრილესი მიკროორგანიზმი 19. ხურმის ჯიში ხიაკუმე, რა სინონიმით ვიცნობთ მას საქართველოში 20. ბოშათა თეატრი, რომელიც 1951 წელს დააარსა ნიკოლოზ სლიჩენკომ 21. დიდი ტბების სისტემიდან ეს ტბა მთლიანად მდებარეობს აშშ-ის ტერიტორიაზე 25. გვაროვნული თემი ირლანდიასა და შოტლანდიაში 26. ხელოვნური ენა, რომელიც შექმნა პოლონელმა ზამენჰოფმა 1887 წელს 27. ჭიდაობა, რომელიც სპეციალურად შექმნილ თიხის არენაზე ტარდება 28. ჰოლანდიური გვარის ნაწილაკი 29. სრულიად განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანი



მშობლები: გელა ჩიბუხაშვილი, ნონა კობაიძე; ძმა გიორგი; ბებია ლიდა ჩიბუხაშვილი; პაპა ვანო კობაიძე; მამიდა ელიზა; ბიძები გია, კობა კობაიძეები, მალხაზ ანტონიძე იუწყებიან

ნიკა (ნიკოლოზ) ჩიბუხაშვილის

გარდაცვალებას; დაიკრძალა ქ. დედოფლისწყაროში, 24 მაისს;

თენგიზ და მზია კობაიძეები სამძიმარს უცხადებენ ნონა კობაიძეს და გელა ჩიბუხაშვილს შვილის

ნიკას (ნიკოლოზ)

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ილია, თენგიზ და მზია კობაიძეები იუწყებიან

გივი კოტაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ფრონტერა ისტერნ-ჯორჯიას“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გელა და ნონა ჩიბუხაშვილებს შვილის

ნიკა ჩიბუხაშვილის

გარდაცვალების გამო.

ივერი ჭუჭულაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს სანველ, ზინა, დარია, სარდიონ, გრიგორ, შოთა, ასხო, ასია, სერგო და ასმიკ ელოიანების ოჯახებს

სარიბეგ ელოიანის

გარდაცვალების გამო.

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

**აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:**

| ლოტი | მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | ფართობი | საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში) | „ბე“ საწყისი ფასის (ლარებში) | „ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში) | „მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფელი ხორნაბუჯი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.06.37.034 | 2443კვ.მ. | 9000 | 10% | 5% | 100 |
| 2 | სოფელი ხორნაბუჯი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.06.32.215 | 15225კვ.მ. | 15225 | 10% | 5% | 100 |

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური – ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ***ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.***

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;
   კოდი – 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. №44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

# მზე, ლურჯი ცა და ყვავილები = ბედნიერების ფორმულას

მზე, ლურჯი ცა და ყვავილები= ბედნიერების ფორმულას. ეს იყო პატარების მესიჯი, რომელიც მათ ფერადი ნახატების ენით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს უფროსებს გაუგზავნეს. ულრუბლო ზეცა მათთვის ბედნიერების სიმბოლოა, ხოლო ყვავილები და მზე-უზრუნველი ბავშვობის. ასფალტზე ხატვით დაიწყო ღონისძიება, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით 31 მაისს ჩატარდა. ნორჩი მხატვრების მიერ შესრულებული ნახატები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს, ისევე, როგორც მათი ოცნებები და სურვილები...

ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის წინ მდებარე მოედანზე ჩატარდა შეჯიბრი ველორბოლაში, სადაც დედოფლისწყაროელი ბავშვები მონაწილეობდნენ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები დასრულდა სადღესასწაულო კონცერტით.

კულტურის სახლის ეზოში შეკრებილებს ბავშვთა დაცვის დღე ადგილობრივმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიულოცეს. დედოფლისწყაროელ ბავშვებს სიტყვით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიმართა. „ჩვენ გვყავს უნიჭიერესი თაობა და ამით უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. სწორედ თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის მომავალი. გისურვებთ წარმატებულ მომავალს. გამრავლდით და იბედნიერეთ“- აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.




## ულოცავენ!

### ლაშა საყვარელაშვილს!

ჩვენს საყვარელ შვილიშვილს, პირველ სიხარულს ლაშას, ვულოცავთ ათი წლის იუბილეს, ვუსურვებთ ბედნიერ და სიკეთით სავსე მომავალს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

**დიდი სიყვარულით პაპა-ბებია**
შალვა და ვენერა კოჭლამაზაშვილები.

### ნინო იაკობიშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები ულოცავენ ნინო იაკობიშვილს შვილიშვილის დაჩის დაბადებას. პატარას უსურვებენ ბედნიერ და უზრუნველ მომავალს.

ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ გამზირზე, ილიაუნის ფილიალის წინ იყიდება ერთოთახიანი ბინა. ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე... ფასი – 2 700 $
**მისამართი: რუსთაველის №117**
☎ 593 - 275 - 275

## ვ ა კ ა ნ ს ი ა !

გვესაჭიროება მუშახელი სამთაწყაროში, სასურველია, იყოს ახალგაზრდა ოჯახი. სამუშაო დარგი: სოფლის მეურნეობა. დასაქმებულები იქნებიან კვებითა და ბინით უზრუნველყოფილნი, შრომის ანაზღაურება – მაღალი. გამოსაცდელი ვადა –1 თვე. ეს პერიოდი ანაზღაურდება. დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
☎ 577 46 26 27
(დარეკეთ საღამოს საათებში).

ნოტარიუსს ესაჭიროება დედოფლისწყაროს სანოტარო ბიუროში სამუშაოდ თანაშემწე. აუცილებელი მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება (სასურველია იურიდიული), კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, კომუნიკაბელურობა. (სასურველია ახალგაზრდა გოგონა). მსურველები დაუკავშირდით
☎ 555 36 36 10
(საღამოს 19 საათის შემდეგ).

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზია აცხადებს ვაკანსიას **გამყიდველის** პოზიციაზე, მსურველებმა დარეკეთ:
☎ 599 08 01 28


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 04.06 | | სამშაბათი 05.06 | | ოთხშაბათი 06.06 | | ხუთშაბათი 07.06 | | პარასკევი 08.06 | | შაბათი 09.06 | | კვირა 10.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 20 ° | 19 ° | 22 ° | 21 ° | 26 ° | 22 ° | 26 ° | 21 ° | 19 ° | 18 ° | 21 ° | 19 ° | 24 ° | 22 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია:
ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.